პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №

2024 წლის_ _ ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4824206128; 24/07/2024) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბო არენა"-ს საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ა(ა)იპ ,,წყალტუბო არენა"

#	თანამდებობის დასახელება	2024 წელი	
		საშტატო რიცხოვნობა	განაკვეთის ღირებულება
	სულ	**28**	
1	დირექტორი	1	2200
2	საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი	1	1000
3	საწვრთნელი ბაზის ტექნიკური მომსახურების კოორდინატორი	1	847
4	საწვრთნელი ბაზის ადმინისტრატორი	1	1100
5	სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური მართვის კოორდინატორი	1	622
6	საქმეთა წარმოების კოორდინატორი	1	400
7	გადამზადებული აგრონომი	2	1000
8	აგრონომი	1	880
9	მუშა	7	605
10	ფეხბურთის კომენტატორი	1	363
11	ელექტრიკოსი	1	363
12	დამლაგებელი	2	400
13	დარაჯი	6	363
14	კომენდატი	1	485
15	საფეხბურთო ცენტრის მენეჯერი	1	1200

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824206128**
თარიღი: **24/07/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ „წყალტუბოს არენას“ 2024 წლის 24 ივლისის №54 წერილი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2024 წლის 24 ივლისის №04-4824206117 წერილი ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ საშტატო ნუსხაში ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.

შესაბამისად ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ საშტატო ნუსხა ცვლილებას ექვემდებარება შემდეგი დამატებული იქნას საფეხბურთო ცენტრის მენეჯერის 1 საშტატო ერთეული, სახელფასო განაკვეთით 1200 ლარი.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ სახელფასო ფონდის ზრდას, ერთ თვეზე 1200 ლარით, ხოლო წლიურ ფონდზე დარჩენილ 5 თვეზე 6000 ლარით, რაც უზრუნველყოფილი იქნება ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ 2024 წლის დამტკიცებული სუბსიდიის ფარგლებში.

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, გთხოვთ, თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბო არენას“ საშტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირი

,, წყალტუბო არენა''

კოდი 421268014 5400ქ. წყალტუბო ,26 მაისის ქ№ 2

№ 54 24 ივლისი 2024 წელი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი.

გაცნობებთ, რომ ა(ა) იპ „წყალტუბო არენას“ 2023 წლის 11 დეკემბერს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით მოვლა-პატრონობისა და შენახვის მიზნით სარგებლობაში გადმოეცა ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ # 29.08.36.092 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება (საფეხბურთო ცენტრი) მასზე განთავსებული ინვენტარით - სპორტული მოედანი, ადმინისტრაციული შენობა და სპორტული აღჭურვილობით. კერძოდ მინდვრის მოსავლელი ძვირადღირებული სხვადასხვა ტექნიკა. საფეხბურთო ცენტრის გამართულად მუშაობის და სპორტული მოედნის სათანადო პირობებში მოვლა-შენახვის მიზნით ბაზას ცალკე ემსახურება ტექნიკური მომსახურების კოორდინატორი, ორი გადამზადებული აგრონომი, 2 მუშა, ერთი დამლაგებელი და 3 დარაჯი. მინდვრის მოსავლელი ტექნიკის სათანადოდ მოვლა-გამოყენებისა და ბაზის თანამშრომლების საქმიანობის მართვის მიზნით აუცილებელია ადგილზე იყოს ერთი კვალიფიციური თანამშრომელი, რომელიც საერთო ზედამხედველობას გაუწევს საფეხბურთო ცენტრში ჩასატარებელ ყოველდღიურ სამუშაოებს. ამ მიზნით გთხოვთ დაგვიმატოთ საფეხბურთო ცენტრის მენეჯერის ერთი საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით 1200 ლარი. აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს სახელფასო ფონდის ზრდას 6000 (ექვსიათასი) ლარით (5 თვე), რომლის უზრუნველყოფა მოხდება ა(ა)იპ წყალტუბო არენას“ 2024 წლის დამტკიცებული სუბსიდიის ფარგლებში.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით ა(ა) იპ ,,წყალტუბო არენას“

დირექტორი: ა. ვარდანიძე

ა(ა)იპ „წყალტუბო არენა"			
2024 წლის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები			
№	თანამდებობის დასახელება	2024 წელი	
		საშტატო რიცხოვნობა	თანამდებ. სარგო
	სულ	27	
	დირექტორი	1	2200
	საფინანსო - ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი	1	1000
	სამართლებრივ უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის კორდინატორი	1	622
	საქმეთა წარმოების კორდინატორი	1	400
	საწვრთნელი ბაზის ტექნიკური მომსახურების კოორდინატორი	1	847
	საწვრთნელი ბაზის ადმინისტრატორი	1	1100
	კომენდატი	1	485
	გადამზადებული აგრონომი	2	1000
	აგრონომი	1	880
	მუშა	7	605
	ფეხბურთის კომენტატორი	1	363
	ელექტრიკოსი	1	363
	დამლაგებელი	2	400
	დარაჯი	6	363
	საფეხბურთო ცენტრის მენეჯერი	1	1200

ა(ა)იპ „წყალტუბო არენას-ს დირექტორი: ა.ვარდანიძე

საფინანსო-ეკონომიკური და შესყიდვების მართვის კოორდინატორი: ნ.კეთილაძე